შოკრეფილი თუთის ნაყოფების გაღმოტანა წარმოებდა 4—6 კვ ტევადობის ხის ყუთებით. გადასამუშავებლად გადაეცემოდა მოკრეფისთანავე, არაუგვიანეს 4—6 საათისა. გაყინვისათვის განკუთვნილი თუთის ნაყოფები უნდა იყოს ახლად მოკრეფილი, მწიფე, მაგრამ არა გაღამწიფებული, დაუზიანებელი, საღი როგორც მექანიკურად, ისე დაავადების მხრივ, სუფთა და მშრალი.

თუთის ნაყოფების გადამუშავება წარმოებდა მიღებისთანავე, იმავე დღეს. მისი შენახვა ნედლეულის მიღებ მოედანზე არ დაიშვება. იმ შემთხვევაში როდესაც შეუძლებელია მიღებისთანავე გადამუშავება, თუთის ნაყოფები შეიძლება შევინახოთ მაცივარში  $0+2^{\circ}\text{C}$ -ზე 85—90% ჰარდობითი ტენიანობის დროს 24—48 საათის განმავლობაში.

ნედლეულის მიღების შემდეგ ტარდებოდა მათი ინსპექცია. ინსპექციის დროს სცილდებოდა ფოთლები, უცხო მინარევები, ლია ფერის, მოუმწიფებელი, გადამწიფებული, დაჭყლეტილი, ძლიერ გაჭუჭყიანებული,

თუთის ნაყოფების ტექნ-კიმიური შარვენებლები

გიშის და- სახელება	საშუალო წლის, გ		საშუალო მთკულე- ბა, სკ		საშუალო წლის		ზომები, მმ		ცენტ, %		ცენტ, %		ცენტ, %		ცენტ, %		ცენტ, %		ცენტ, %		pH	
	h	d	h	d	h	d	h	d	h	d	h	d	h	d	h	d	h	d	h	d	h	d
გრუნთი	3,98	3,35	1,18	25,15	12,85	0,12	4,32	21,14	78,01	15,0	0	15,0	0,13	6,18	0,26	0,83	4,32	0,90				
გრუნთი.7	3,28	3,24	1,01	23,2	13,70	0,03	6,29	14,2	84,03	12,53	0	12,53	0,23	5,50	0,30	0,87	6,29	0,93				

დაობებული ნაყოფები. გარეცხვა წარმოებდა შესუების კვეშ წელს მრავალჯერადი გადავლებით. გარეცხვის შემდეგ აღებოდა ქართ დაწყობა ზედმეტი წყლის მოსაცილებლად. ეს აუცილებელია, რომ მოხდეს შეყოლილი წყლის გაყინვა, რაც გამოიწვევს კრილუქციას და რისხის გაუარესებას. სეთნაირად მომზადებულ ნაყოფებს ვაჟასოებოთ მინის ტარაში CKO 82—1000. გამოიყენებოდა ნახმარი ქილები, რადგან მათ უკვე გავლილი პერნიათ ტემპერატურული ზემოქმედება. დაფასოუბულ ნაყოფებზე ესხმებოდა 50%-იანი ცივი შაქარხსნარი. ნაყოფებსა და შაქარხსნარს შორის თანაფარდობა შეადგინდა 50% : 50%. ქილის შეესქნა ხდებოდა მისი ტევალობის 90%-მდე, ქილის გასკდომის და ხუფის მდინარეობა ასაცილებლად. შაქარხსნარის დასხმის შემდეგ ხდებოდა დახუჭვა. გამოიყენებული საკონსერვო ხუფები ორივე მხარეს ლაქო იყო დაფარული.

დაფასოებისა და დახუფვის შემდეგ ხდებოდა მომზადებული პროცესის დაყოვნება დიფუზიისათვის + 12: + 14°C-ზე 6—8 საათის განმდებარები. შემდეგ პროდუქტია იყინებოდა სწრაფგაშეყინვა მაცივერებელი — 20: — 22°C-ზე. გაყინული პროდუქტია ინახებოდა იმავე ტემპერატურაშე 6 თვის განმავლობაში. შენახვის დასასრულს გაყინული პროდუქტია თანამდებობა გაუალღვეთ მაცივერში + 2: + 4°C-ზე. ჩატარდა ერთგული ბილი ჩიტუშების ქიმიურ-ტექნოლოგიური გამოკვლევა და ღიაგუსტაცია შედევრი მოტანილია შე-2 ცხრილში.

ცხრილი 2  
თუთას ცივი კომპოტის ქიმიური მაჩვენებელები (% -ობით)

№	მაჩვენებლების დასახელება %	გამჭვივებული დასახელება	
		გრძელია გრუნია-7	გრძელია გრუნია-7
1	მშრალი ნივთიერება	34,39	30,2
2	კენიანობა	65,59	67,86
3	ინკერსიცელი შაქრები	16,20	12,5
4	სახაროზა	13,71	12,72
5	საერთო შაქრები	31,91	25,22
6	საერთო მეცანონბა	0,158	0,26
7	pH	6,20	5,55
8	ცორიმლავი და მრებავი ნუც.	0,21	0,19
9	პლეტინგვანი ნივთიერებები	0,40	0,25
10	საერთო ნაცარი	0,79	0,54
11	სალავუსჩაციო წევანდება	4,5	5,0

როგორც მარაცემებიდან ჩაინა, საღევუსტაციო შეფასება ორეუგიშვილი დამზადებული ცივი კომპოტისათვის მაღალია. ამ პროდუქტია სრულადაა შენარჩუნებული ცადლი ნაყოფებისათვის დამახასიათებელი ფერი, გემო, არომატი, როსიი ტუნცია. ამრიგად, თუთის ცივი კომპოტი წარმოადგენს მაღალი კურიუტებით და კვებითი ღირებულების კონსერვს.

და რეკომენდაციას გუშვევთ მის დანერგვას ქვე  
სერ შემუშავებული ტექნოლოგიით.

ბის მრეწველობაში ჩვენ  
თარიღის უძველესი  
პირების გადასახვა

## Յօֆերատուրա — Литература



УДК 543.54:546.712

И. Ш. ШАТИРИШВИЛИ, Л. А. ЗАУТАШВИЛИ

**ИЗУЧЕНИЕ ДЕСОРБЦИИ МАРГАНЦА ( $Mn^{2+}$ ) ИЗ ЦЕОЛИТА  
КЛИНОПТИЛОЛИТ**

Ранее нами [1] были описаны результаты исследования сорбционного поведения марганца ( $Mn^{2+}$ ) на цеолит клиноптилолит. Было установлено, что структура цеолита не изменяется ни при обработке растворами щелочи ( $NaOH$ ) и кислоты ( $HCl$ ), не изменяется также при насыщении катионами марганца.

Для выявления возможности применения микроэлементами обогащенного цеолита в качестве добавок к искусственным удобрениям, не менее важным является изучение процесса десорбции специально подобранным элюентом. Эффективность процесса десорбции определяется рядом факторов, важнейшими из которых являются химическая природа, концентрация и скорость потока элюента.

В данной работе приводятся результаты исследования по десорбции с цеолитом (клиноптилолит) растворами  $NH_4NO_3$  и  $NaNO_3$  различной концентрации, а также дистиллированной водой.

Опыты проводились в динамических условиях на колонках диаметром 1,6 см, высотой слоя сорбента 9 см и объемом 18 мл по следующей методике: через ионообменную колонку соответствующим цеолитом со скоростью фильтрации 5 мл/мин пропускалось по 10 мл. раствора сульфата марганца (0,3 мг  $Mn$ /мл,  $pH=6,62$ ) после промывания колонок порциями дистиллированной воды по 10 мл, через них для десорбции марганца со скоростью фильтрации 1,5 и 10 мл/мин пропускались растворы нитрата аммония различной концентрации (1% и 5% раствора  $NH_4NO_3$ ) и нитрата натрия (1% раствор  $NaNO_3$ ). Десорбция изучалась еще дистиллированной водой. Одновременно с этим отбирались фракции по 10 мл, в которых количественно определялось содержание марганца.

Результаты этих серий опытов приведены на рис. 1 в виде дифференциальных выходных кривых элюирования при различных скоростях потока ( $u$ ).

ОБРАЗОВАНО  
ЗАЩИЩЕНО





Рис. 1

Рис. 1. Выходные кривые десорбции  $Mn^{2+}$  с цеолитом а—1% и б—5% раствором  $NH_4NO_3$ , в—1% раствором  $NaNO_3$ , г—листиллизированной водой; с—содержание марганца во фракциях элюата (мг/10 мл); №—номера фракций элюата; 1— $u=1$  мл/мин; 2— $u=5$  мл/мин и 3— $u=10$  мл/мин.

Для оценки эффективности элюирования марганца по представленным на рис. 1 выходным кривым были рассчитаны коэффициенты десорбции ( $K_g$ ), лежащие в пределах 2,01-6; на рис. 2 приведены построенные на основании этих расчетов диаграммы зависимостей  $K_g$  от скорости фильтрации элюентов. Оптимальной следует считать скорость потока элюента, равную 5 мл/мин. Сравнение выходных кривых элюирования (рис. 1) и данные рис. 2 позволяют расположить изученные элюенты по эффективности элюирования марганца в следующий ряд:



Из полученных данных следует, что наиболее эффективными элюентами являются следовательно 1 и 5% растворы  $NaNO_3$  и  $NH_4NO_3$  при скорости 5 мл/мин.




Рис. 2. Диаграммы зависимости величин коэффициента десорбции ( $K_d$ ) марганца от скорости фильтрации ( $u$  мл/мин) при различных концентрациях элюента; 1—1%, 2—5%, раствора  $\text{NH}_4\text{NO}_3$ ; 3—10% раствора  $\text{NaNO}_3$ , 4—дистиллированная вода.

### Л и т е р а т у р а

1. Г. А. Цицишивили, Т. Г. Андроникашвили, И. Ш. Шатиришвили, Л. А. Зауташвили. Исследование сорбционного поведения марганца ( $\text{Mn}^{2+}$ ) на неолит клиноптилолит. (В печати) известия АН ГССР, серия химическая, т. 4, № 1, 1969.



УДК 635.21 : 547(479.22)

ა. ჩავლიშვილი, ნ. შერლიძე

სამართლებული და სამინისტრო კარტოფილის საზოგადო განვითარების დასახლისათვა თემის კიბიზი განვითარების მინისტრის

კარტოფილი, როგორც საქმიანდ მაღალპროდუქტული და კვებითი ღირებულების მქონე პროდუქტი, აგრეთვე როგორც ძირითადი ნედლე-ული კვების მრეწველობისა და სახალხო-მეურნეობის მრავალი სხვადა-სხვა დარგისათვის. გამოყენებისა და მოხმარების უნივერსალობის გამო. თვლება ერთ-ერთ ძირითად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტად. აღნი-შულით არის გაპირობებული ის გარემოება, რომ დღეისათვის მეკარ-ტოფილეობა სსრ კავშირში მიწათმოქმედების ერთ-ერთი უმსხვილესი დარგია.

კვების ფიზიოლოგიური ნორმით წლის მანძილზე ჩვენში ერთ სულზე გათვალისწინებულია 97 კგ კარტოფილი.

მიღლო რა მნიშვნელობაში კარტოფილით და მისი გადამუშავების პროდუქტებით მოსახლეობისა და მრეწველობის სხვადასხვა დარგების უზრუნველყოფის აუცილებლობა, სკკპ X XV ყრილობამ მე-10 ხუთწლიანი გეგმის მიხედვით მნიშვნელოვან ამოცანად დასახა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საერთო მოცულობაში კარტოფილის წლიური წარმოების სავრმნობლად გადიდება მე-9 ხუთწლედის უკანასკნელ წელთან შედარებით. სეროოზული ამოცანები არის დასახული ამ მიმართებით სა-ჯართველოს სს რესპუბლიკაში—1976—1980 წლებში წარმოებულ უნდა იქნეს 1857 ათასი ტ კარტოფილი. ხუთწლედის ამ მიზანდასახულობათა რეალიზაციის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კარტოფილის უხვმოსალიანი, მაღალი სამეურნეო და ტექნოლოგიური თვისებების მქონე ჯამშების შესწავლას და ფართოდ დანერგვას წარმოებაში, აგრეთვე შენახვის რაციონალური მეთოდების შემუშავებას, კარტოფილის ტუ-ბერების შენახვისუნარისნობის ამაღლებას სამეურნეო და ტექნოლოგიური თვისებების მაქსიმალური შენარჩუნებათ.

ზემო აღნიშვნულიდან გამომდინარე, მიზანდ დავისახეთ შეგვესწავლა საქართველოში დარაიონებულ სხვადასხვა ეკოლოგიურ პირობებში შო-კივანილი კარტოფილის საშუალო-საგვიანო ჯიშების ტექნიკური და ქიმი-

ური მაჩვენებლები, რომელიც სხვა ფაქტორებთან ერთად შეიძლება ვაწყილად განაპირობებს კარტოფილის კვებით ღირებულებას, სამართლო თვისებებს და შენახვის უნარს. მით უმეტეს, რომ ამ ფაქტებზე ჯერობით გამოქვეყნებული შრომა არ მოვეპოვება.

ცდის მეთოდიკა: საცდელად აღებული იყო 1974 წლისათვის საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებულ სასოფლო-სამეურნეო კულტურების გიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისიის ინსპექციის მიერ საქართველოში ჩატარებული და დარაიონებული საშუალო-სავაინო კარტოფილის სამთავე გიში: მაუესტიკი, თრალეთური და ოვონიკი.

კარტოფილის საცდელი გიშები მივიღეთ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების თეთრი წყაროსა და წალკის გიშთა გამოცდის სადგურებიდან, თითოეული გიში 100—100 კგ რაოდენობით.

კარტოფილის საცდელი გიშების დახასიათების მიზნით აღებილან 10 დღის შემდეგ ტარდებოდა ტექნიკური ანალიზი და ისაზღვრებოდა:

1. კარტოფილის ტუბერების საშუალო წონა.
2. " " " მოცულობა.
3. " " ზომები დამატების მიხედვით.
4. ტუბერების ხვედრითი წონა.
5. ტუბერების ფორმა (ინდექსი).

ქიმიური შედგენილობიდან კარტოფილის ტუბერებში ძაბლვრებოდა:

1. ტენიანობა და საერთო მშრალი ნივთიერება მუდმივ წონაზე შრობით.
2. სახამებელი—ხვედრითი წონისა და შჩერბაკოვის მეთოდით.
3. საერთო შაქარი—ფერიციანიდის მეთოდით.
4. ვიტამინი C—ტილმანის მეთოდით.
5. საერთო მჟავიანობა—0,1 N NaOH-ის ხსნარით ტიტრაციით ვაშლის მჟავაზე გადაანგარიშებით.
6. აქტიური მჟავიანობა—პოტენციომეტრით.
7. უგრედისი გენენბერგ—შტომანის მეთოდით.
8. საერთო ნაცარი—დანაცვრით.
9. მაკროელემენტები—ნულოვანი ფოტომეტრით.

ანიშნული მაჩვენებლები გადაანგარიშებულია ტუბერის მიმართ.

ჩატარებული კვლევითი მუშაობის შედეგები—კარტოფილის საცდელი გიშების ტექნიკური ანალიზის საფუძველზე მიღებული მაჩვენებლები მოცემულია 1-ელ ცხრილში.

ანალიზის მიხედვით როგორც ტუბერის საშუალო წონით, ასევე საშუალო მოცულობით გამოირჩევა გიში ოვონიკი, რომელიც გიშ მაუესტიკის თეთრი წყაროს გიშთა გამოცდის ნაკვეთის ნედლეულში აღემატება საშუალო წონით 23%-ით, ხოლო საშუალო მოცულობით 16%-ით. ანალოგიური სურათია წალკის გიშთა გამოცდის ნაკვეთის ნედლეულის შემთხვევაში, რომელიც გიშ მაუესტიკს შესაბამისად აღემატება 24% და

37%-ით აღნიშნული ჯიშების შედარებითმა შესწავლამ ტუბერკულურის ფორმის მიხედვით უჩვენა, რომ ორთავე ჯიშთა გამოცდის ნაკვეთის პირობებისათვის ჯიში ოგონიოკი უფრო მრავალი ფორმისაა. ასე, მაც მარცვალური ინდუქსი ჯიშ მაჟესტიკის ტუბერსათვის თეთრი წყარისა და წყლის უზრუნველყოფა თონის ნედლეულში შეადგენს 1,56 და 1,53 მაზინ, როდესაც ოგონიოკისათვის იგი შესაბამისად არის 1,37 და 1,4; ამგარად, კარტოფილის ჯიში ოგონიოკი დანარჩენ საცლელ ჯიშებთან შედარებით არის უფრო მსხვილი და ოვალური ფორმის.

G 66030 1

ଫେରିତ ଗାମଣପ୍ରଦେଶ ରାଜୀନାମ	ଖାଦ୍ୟ	କୃତିଲୀଙ୍କ ବାର. ଟିକନ୍ତୁ ବା	ଧରାମ୍ଭକୁଳ, ବୈ		
			ବୈଶିଶ୍ଵର ବାର. ବିକାଶ ବାର.	ବୈଶିଶ୍ଵର ବାର. ବିକାଶ ବାର.	ବୈଶିଶ୍ଵର ବାର. ବିକାଶ ବାର.
ତ୍ୟତରଂ ବ୍ୟାରାତ	ମାତ୍ରାକୁଣ୍ଡା	64,1	62,7	47,0	30,0
	ତରାବଲ୍ଲେତୁରା	69,4	71,7	48,5	33,6
	ଅଗନିକୁଣ୍ଡା	78,8	71,9	48,1	35,4
ଫିଲ୍ପା	ମାତ୍ରାକୁଣ୍ଡା	126,6	97,9	61,5	40,1
	ତରାବଲ୍ଲେତୁରା	123,4	97,5	63,3	36,5
	ଅଗନିକୁଣ୍ଡା	158,3	134,0	65,5	46,7

როგორც ცნობილია, კარტოფილის ტუბერების ერთ-ერთ ძირითად ფიზიკურ მაჩვენებელს წარმოადგენს ხველრითი წონა, რომელიც პირდაპირ კორელაციაშია მასშა მშრალი ნივთიერების შემცველობასთან. საცდელი ჯიშების ურთიერთშედარებამ აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით გვიჩვენა, რომ ყველა შემთხვევაში ჯიში ოვონიოვი მნიშვნელოვნად აუცხატება დანარჩენ საცდელ ჯიშებს მაჟესტიკა და თრიალურას. რაც ჩანს შეორენ ცხრილში.

G 63030 2

ქიმიური გამოც- დის რაონი	ჯიში	ტუბერის მშრალი ნივთ. %			ტენი, %
		ხელის წყალი დ საშ.	შრობით	ტუბერის მიხედ- ვით	
მაჟესტიკი		1,085	23,37	21,93	76,63
თრიალეთური		1,088	23,29	22,48	76,71
თეთრი წყარო	ოგონიონი	1,091	23,74	22,90	76,26
ჭილკა	მაჟესტიკი	1,091	24,25	20,77	75,75
	თრიალეთური	1,085	21,82	19,17	78,18
	ოგონიონი	1,098	24,64	21,09	75,56

აუსანიშნავია, რომ თუ ჯიშების—მაჟესტიკისა და ოგონიონების ხელი რითი წონა რაოდნების მიხედვით კანონზომიერად იცვლება, ჯიშ თოთალი თურის შემთხვევაში თეთრი წყაროს ნედლეულში იგი აღმოჩენილი მისამართის ტიკის ტუბერების ხვედრით წონას, ხოლო წალკის რამდენიმე ნიშანულის ჩამორჩება მას.

როგორც ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან იჩვევა, შშრალი ნივარეულების შემცველობის მიხედვით საცდელ ჯიშებს შორის არსებობი განსხვავება შენიშნული არ არის, მაგრამ ხვედრითი წონის შესაბამისად იგი მეტია ჯიშ აფონიონში.

გარეტოფილის ტუბერების შშრალი ნივთიერების მთავარი შემაღლენილია სახამებული, რომელზედაც არის დამოკიდებული კარტოფილის როგორც სასურსათო თვისებები, ასევე ტექნიკური გადამუშავებისათვის გამოყენების შესაძლებლობა, რის გამოც აღნიშნული მაჩვენებელი წარმადგენს ერთ-ერთ ძირითად კრიტიკულს კარტოფილის ცალკეული ჯიშის სასაქონლო ღირსების შეფასებისათვის. სახამებლის შემცველობის განსაზღვრა კარტოფილის საცდელ ჯიშებში ტარდებოდა სხვადასხვა მეთოდებით. ანალიზის შედეგები მოტანილია მე-3 ცხრილში.

### ცხრილი 3

#### სახამებლის შემცველობა სხვადასხვა ჯიშის კარტოფილის ტუბერებში

ჯიშთა გამოცდის რაონი	ჯიში	სახამებლის შემცველობა, %			
		წევრითი წონის მიხედვით	შეჩრდა, მოვალეობის გაზიდვით	ეკისის მეთოდით	საშუალო
თეთრი წყარო	მაჟესტიკი	15,6	15,9	15,3	15,6
	თრალეთური	16,7	16,7	15,1	16,2
	ოგონიონი	17,2	17,2	16,3	16,9
წალკა	მაჟესტიკი	17,2	17,2	17,4	17,3
	თრალეთური	14,4	14,4	14,1	14,2
	ოგონიონი	13,7	13,7	17,4	18,3

ანალიზის შედეგების თანაბრძო, სახამებლის შემცველობის მიხედვით უში აფონიონი სხვა ჯიშებიან შედარებით გამოიიჩინება უპერატურის სობით. მასთან ერთად იგი მეტი რაოდნენობით არის მოცემული წალკის ჯიშთა გამოცდის ნაკვეთის ნედლეულში. შშრალი ნივთიერების სხვა შემაღლენილი ნაწილების შემცველობა კარტოფილის საცდელ ჯიშებში შემდეგ ცურათს იძლევა: შაქრებისა და ვატამინი C შემცველობის მიხედვით კარტოფილის საცდელი ჯიშები ასებითად არ განსხვავდებიან ერთმანეთის განვითარება, თუმცა ვიტამინი C-ს შემადგენლობაში განსხვავდებიან უფრო თვალსაჩინოა. ასე დასტურდება მე-5 ცხრილის მონაცემებიდან.

Համեմատական գումարը համար կազմությունից	Ք Պ Ց Օ	Նվազագույն %	Տաքածական պահանջանական %	pH	Տաքածական նախարարություն, %	Կարմարագույն պահանջանական գումարը	
						K <sub>1</sub>	K <sub>2</sub>
Մաքր պահանջանական գումար	Ցանքական	0,49	0,197	6,04	1,17	676	4,46
	Դաշտական	0,58	0,191	6,10	1,16	632	4,04
	Համարական	0,48	0,186	6,20	1,14	585	3,94
Կարմարագույն պահանջանական գումար	Ցանքական	0,60	0,192	6,40	1,05	534	5,98
	Դաշտական	0,56	0,205	6,50	0,97	545	7,43
	Համարական	0,72	0,18	6,16	1,06	508	5,35

13660330 5

სართო შაქტებისა და ვიტამინი C-ს შემცველობა კარტოფილის სხვადასხვა ჭიშებში

ଫର୍ମିଟା ଗମନପଦ୍ଧିତ ରାଶିରେ	ଶୀଘ୍ର	ବ୍ୟାଙ୍ଗ- ରେଖାଚିତ୍ରର ଦିଶ.	
	ଶୀଘ୍ର	ଶୀଘ୍ର- ରେଖାଚିତ୍ରର ଦିଶ. %	
ତୈରିରେ ର୍ଯ୍ୟାରଣ	କାର୍ଯ୍ୟକ୍ରମିତ ଅନୁଷ୍ଠାନିକ ଅନୁଷ୍ଠାନିକ	2,15 2,05 2,18	8,14 6,90 7,35
ବିଲ୍ପା	କାର୍ଯ୍ୟକ୍ରମିତ ଅନୁଷ୍ଠାନିକ ଅନୁଷ୍ଠାନିକ	2,56 2,24 2,53	10,53 9,47 7,82

როგორც მონაცემებიდან ჩანს, ვიტამინი C-ს შემცველობა, როგორც  
წესი, მეტი რაოდენობით არის მოცემული წალკის რაონის ჯიშთა გამო-  
ცდის ნედლეულში თეთრი წყაროს ნედლეულთან შედარებით, რაც ემო-  
ჩილება ცნობილ კანონზომიერებას რელიეფის სიმაღლის მიხედვით  
ჰუნარეულ ნედლეულში ვიტამინ: C-ს რაოდენობრივი შემცველობის  
გადიდების შესახებ. ამასთან ორთავე რაონის ნიმუშებში შედარებით  
მეტი რაოდენობით იგი წარმოდგენილია ჯიშ მაცესტიკში. რაც შე-  
ეხება საერთო შაქრების რაოდენობრივ შემცველობას აღნიშნული მაჩვე-  
ნებლის მიხედვით კარტოფილის საცდელი ჯიშები თოთქმის არ განსხვავ-  
დება ერთმანეთისაგან, ხოლო რაონებიდან, ისევე როგორც ვიტამინი  
C-ს შემთხვევაში, მას მეტი რაოდენობით შეიცავს წალკის რაონის ნედ-  
ლეული.

ჩატურებული კვლევითი მუშაობის საფუძველზე უნდა დაესკვნათ:  
1. კარტოფილის შესწავლილი სხვადასხვა ჯიშებიდან, როგორიცაა მაყე-  
13. შრომები, ტ. 105. 1978

- ტიკი, ორიალეთური და ოგონიოვი უკეთესი სამეურნეო და ტექნიკური  
მაჩვენებლებით გამოიჩინება ჭიში ოგონიოვი.
2. ძირითად ქიმიურ ნივთიერებათა შემცველობის მიხედვით სამოცდო  
ბთან შედარებით გარკვეული უპირატესობით ხასიათურებული მატერიალი  
ოგონიოვი, როგორც წალკის, ჟევე თეთრი წყაროს ჭიშთა გამოცდის  
სადგურებიდან.
  3. ცალკეული ეკოლოგიური რაიონების (თეთრი წყარო, წალკა) ურთიერთ-  
შედარებით ერთი და იმავე ჭიშების ქიმიურ-ტექნოლოგიური თვისე-  
ბების მიხედვით უპირატესობით ხასიათდება წალკის რაიონის პირბე-  
ბში მოყვანილი კარტოფილის ტუბერები.

### ლიტერატურა—Литература

1. გ. კ ვ ა ძ ე, მებოსტნეობა. თბ., 1968.
2. ა. ჭ ა რ ი ძ ე, მემცნებელეობა. თბ., 1975.
3. Биохимия овощных культур. М., 1964.
4. Ю. Волосов. Методы оценки качества плодов и овощей. М., 1975.
5. С. Ильченко и др. Основы консервирования и технико-химический контроль. М., 1968.
6. В. Сперанский. Товароведение свежих плодов и овощей. М., 1967.
7. Е. Широков. Практикум по хранению и переработке плодов и овощей. М., 1964.

თრთმის ჯილდი დროშის ორდენისან

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ზომიერი, ტ. 105, 1973

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ

СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. 105, 1978



УДК 634. 0. 232

რ. რუხაძე, ა. ზედგინიძე

ტფის აღდგენის სამუშაოებზე ჩარისხობილი მაჩვენებლების განსაზღვრის  
ზოგიერთი საკითხი

პროდუქციისა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება—  
სა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს  
პრობლემას წარმოადგენს. პროდუქციის ხარისხის ამაღლების საკითხმა,  
როგორც წარმოების ეფექტინობის ამაღლების მნიშვნელოვანმა მხარემ,  
განსაკუთრებული ადგილი დაიკავა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის  
განვითარების 1976—1980 წლების ძირითად მიმართულებებში.

სუვე, როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში სამთო ტყის  
მეურნეობაშიც ტყის რესურსების კვლავწარმოების საქმიანობაში წარ-  
მოებული პროდუქციის ხარისხის ამაღლების საკითხი ერთ-ერთი ყველა-  
ზე ურთულესია, რადგან ტყის რესურსების კვლავწარმოება არის და ჩჩე-  
ბა ყველაზე შრომატევად და რთულ სამუშაოდ. ამ პრობლემის გადაწყვე-  
რაზე მუშაობენ არა მარტო საბჭოთა, არამედ ყველა საზღვარგარეთელი  
ჟეტიკუ მეცნიერებიც. მსოფლიოში ყველა პროგრესულად მოაზროვნე  
დიდი ინტერესით აღვნებს თვალყურს ტყის რესურსების მეცნიერებულ  
კვლავწარმოებას. ამასთან ერთად, ეძებენ ახალ მეთოდებს ტყის მეურნე-  
ობის წარმოების ეფექტინობისათვის, რის გამოც სელექციურ საფუ-  
ძლებელზე ჰქმნიან ტყის თესლების პლანტაციებს, ფართოდ იყენებენ სარ-  
გვი მასალის აღზრდის, შენახვის, ორიგინალურ მეთოდებს, მუშავდება  
და იხვეწება ტყის აღდგენა-განახლების, მოვლა-დაცვის ახალი წესები.  
სუ, მაგალითად, ტყის სარგვი მასალის აღზრდა-გამოყენებისათვის 1956  
წელს ფინეთში პირველად გამოიყენეს პოლიეთილენის სათბური, ჩვენს  
ქვეყანაში კი მისი გამოყენება 1964 წლიდან დაიწყეს. მეცნიერების მიერ  
დაგენილია, რომ პოლიეთილენის სათბურის გამოყენებას ძალზე დიდი  
უპირატესობა აქვს ღია გრუნტთან შედარებით. კერძოდ, თესვა შეიძლე-  
ბა ღავიწყოთ რამდენიმე კვირით აღწე. 1 ჰა-ზე ნერგების გამოსავლია-  
ნობა 4—7-ჯერ მეტია, ნერგების აღზრდის პერიოდი იზრდება, რაც საშ-  
ულებას გვაძლევს შევამციროთ ერთი წლით სარგვი მასალის ზრდის ხან-  
გრძლივობა. გარდა ამისა ძალზე მცირეა თესვის ნორმაც. ღია გრუნტზე

1000 კ ჩეულებრივ ფიჭვის ნერგის გამოყენაზე საჭირო 46,0 კ ტე-  
ლი, ხოლო სამუშაოში 7,3 კ ჩე. ნაძვისათვის შესაბამისად—46,1—10,7  
გრამი. სეტმერი სათბურებმა დიდი პრაქტიკული გამოყენებით უკავში-  
ნიაში. უნიტრეტში, ჩეხოსლოვაკიაში, სსრ კავშირის სხვა მუცეულეურებზე,  
ხოლო ჩევენი რესპუბლიკის პრაქტიკაში დღეს კიდევ ამ საქმიანობაში დღი  
ჩამორჩენა გვაქვს.

ჩევენ ქვეყანაში ტყის აღდგენითი სამუშაოები 1971—1975 წლებში  
ჩატარდა 11685,0 ათას ჰა—ზე, ხოლო მიმდინარე ხუთწლედში გათვალისწი-  
ნებულია 11 მლნ ჰა—ზე. ყოველწლიურად (1,2—1,5 მლნ. ჰა) ამ სამუშაო-  
ბის ჩატარებაზე იხარჯება 150—200 მლნ თანხა. კიდევ უფრო უმჯობე-  
დება ტყის დარგვის, მოვლის ახალი კომპლექსური მანქანები, უფრო ფა-  
რთოდ გამოიყენება მსხვილი ზომის სარგავი მასალა, რაც საშუალებას  
იძლევა შევამციროთ ტყის კულტურების მოვლის ხარჯები. ამ მიმართუ-  
ლებით ჩევენს რესპუბლიკაში გარკვეული ამოცანებია დასახული, მაგრამ  
უნდა ითქვას. რომ ტყის გაშენების საქმეში, მარტო არ უნდა შემოვიფარ-  
გლოთ მისი რაოდენობრივი მაჩვენებლებით. საჭიროა ასეთივე მეცნიერუ-  
ლად დასაბუთებული გეგმები იყოს შედგენილი ტყის რესურსების აღ-  
გნის ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვითაც. თუ ჩევენ რაოდენობრი-  
ვი მაჩვენებლების გაზრდასთან ერთად მივაღწევთ ხარისხობრივი მაჩვე-  
ნებლების ზრდასაც, ამით ჩევენ მივაღწევთ არა მარტო ტყის რესურსების  
რაოდენობრივი მაჩვენებლების შენარჩუნებას, არამედ საგრძნობლად შე-  
ვამცირებოთ და დაკავშიროთ ასეული ათასობით ფულად სახსრებს, შრო-  
მითსა და მატერიალურ დანახარჯებს.

უნდა აღინიშვნოს, რომ ამჟამად სატყეო მეცნიერებაში ჯერ კავში-  
რი არის ტყის კულტურების კვლევარმოების სამუშაობის ხარისხობრივი  
მაჩვენებლების განსაზღვრისათვის მეცნიერულად დასაბუთებული და შე-  
დგენილი მეთოდიკა. ჯერ კიდევ არ არის ობიექტური კრიტერიუმი ტყის  
კულტურების წარმოების შედეგების საბოლოო შეფასებისა. ტყის კულ-  
ტურების შეფასება და აღრიცხვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა მუ-  
ტრნეობის წარმოების თანამედროვე ეტაპზე. ტყის კულტურების წარ-  
მოების მიზანია მაღალპროდუქტიული ნარგაობის აღზრდა, რომელიც ყვე-  
ლაზე მეტად დაუმაყოფილებს საზოგადოებრივ მოთხოვნებს. ამ მიზნს  
მიღწევისათვის საჭიროა წინასწარ განისაზღვროს ტყის კულტურების ჯიშობრივი შედგენილობა და სიხშირე, შეირჩეს ტყის კულტურების გა-  
შენების რაციონალური ტექნოლოგია, წარმოების პროცესში უზრუნველ-  
ყოფალ იქნეს კულტურების აღზრდის ხარისხობრივი კონტროლი.

თანამედროვე პირობებში ტყის კულტურების წარმოების ხარისხობ-  
რივი მაჩვენებლების საზომ ერთეულად მიჩნეულია „ტყის კულტურების  
გახარების პროცენტი“. ამ მაჩვენებლის საფუძველზე წარმოებს სამეუ-  
რნეო საქმიანობის ხარისხობრივი შეფასება და სამუშაოს შესრულების  
მატერიალური სტიმულირება. ამჟამად „ტყის კულტურების გახარების

პროცენტის „გრაზაციას შეადგენს: 25—49, 50—69, 70—84, 85—94 და 95%. თუ ტყის კულტურების გახარების პროცენტი 25-მდე აღწევს, ასე თუ კულტურები ჩამოაწერება, და ხელახლა იწარმოებს ამ ფართობის მიზანის მიზანება, თუ გახარების პროცენტი 25—95-მდეა, მაშინ წარმოებს შევეულა, ხოლო თუ გახარება 95%-ს აღემატება, მაშინ ასეთ ფართობზე შევეულა არ იწარმოებს. ტყის კულტურების სამუშაოების ხარისხობრივი მაჩვენებლების ასეთი შეფასება წარმოებს გაშენებიდან 1—3 წლის განმავლობაში, ხოლო მომდევნო ორი წლის განმავლობაში ხარისხობრივი მაჩვენებლების შეფასება წარმოებს გაშენებული ტყის კულტურების ვადა-ჩიცხვით ტყით დაფარულ ფართობში, ე. ი. რაც უფრო მეტი ფართობი გადაირიცხება ტყით დაფარულში, მით უფრო მაღალია ამ სამუშაოების შესრულების ხარისხი.

უნდა აღინიშნოს, რომ ტყის კულტურების ხარისხობრივი მაჩვენებლის ასეთმა შეფასებამ ძალზე დიდი პრაქტიკული გამოყენება პპოვა თანამედროვე სატყეო მეურნეობაში. აღნიშნული მეთოდი ძალზე მარტივი და ამავე დროს ნაკლებშრომატევადია, არ საჭიროებს დროისა და შრომის დიდ დანახარჯებს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ტყის კულტურების ხარისხობრივი მაჩვენებლების შეფასების ამ მეთოდს გააჩნია რიგი ნაკლოვანი მხარეები, რაც შემდეგში მდგომარეობს: „გახარების პროცენტის“ მიხედვით არ შეიძლება სწორად ვიმსჯელოთ ტყის კულტურების სამუშაოების ჩატარების ხარისხზე, რადგან ხშირად ტყის კულტურების გაშენების, გახარების პროცენტი, როგორც პირველად, ასევე ინვენტარიზაციის პერიოდში, შეიძლება იყოს მაღალი, შემდგომში კი მისი სახშირე იყოს დაბალი. გარდა ამისა, შეიძლება ხშირად მეჩერად გაშენებული კულტურების გახარების პროცენტის იყოს მაღალი, ხოლო მისი პროცენტის დაბალი ან პირიქით. აღნიშნულის გარდა, ამჟამად მოქმედი წესების მიხედვით გახარების პროცენტის დადგენის დროს მხედველობაში არ მიიღება გაშენებული ტყის კულტურების საშოგადოებრივი მოთხოვნილება: სასაქონლო მერქანი, დაცვითი ფუნქციები, სოციალური მხარე და სხვ. გახარების პროცენტის მიხედვით შეუძლებელია ამ სამუშაოების ხარისხის ეკონომიკური ეფექტის გაანგარიშება.

ტყის კულტურების ხარისხობრივი მაჩვენებლების სწორად განსაზღვრას, როგორც ეს პრაქტიკული დაცვირვებებიდან ჩანს, ძარითაზად მაჩვენებლად უნდა ჰქონდეს ტყის კულტურების სამუშაოების ეკონომიკურა შეფასება, რასაც საფუძვლად უნდა ეღოს ამ სამუშაოების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. ტყის კულტურების რაოდენობრივი მაჩვენებლების განსაზღვრისათვის საჭიროა ვიცოდეთ: ფაქტიურად გაშენებული ტყის კულტურების ფართობი და ტყის ფონდში ჩარიცხვის მომენტში ფაქტურად შენარჩუნებული ტყის კულტურების ფართობი.

ეს მაჩვენებლები ფორმულის მიხედვით ასე გაიოთხობა:

$$S = \frac{S_1}{S_2}, \quad N = \frac{n}{n_1 + n_2}$$



საღაც  $S$  არის შენარჩუნებული კულტურის ფართობი,

$S_1$  — ტყის კულტურების ფართობი ტყის ფონდში ჩარიცხვის მომენტში,

$S_2$  — ტყის კულტურების ფართობი გაშენების მომენტში.

$N$  — სარგავი ადგილის რაოდენობა,

$n$  — სარგავი ადგილის ოფენობა შეფასების მომენტში,

$n_1$  — შეფასებამდე სარგავი ადგილების ოფენობა,

$n_2$  — შეესებული ნერგების ოფენობა ან ორმოების რაოდენობა.

ამ მაჩვენებლების განსაზღვრის გარდა ტყის კულტურების ხარისხობრივი მაჩვენებლების მეცნიერულად განსაზღვრისათვის საჭიროა ვიცოდეთ ამ სამუშაოთა შესრულების დანახარჯები. მისათვის უნდა ვიცოდეთ ერთსა და იმავე ფართობზე ყოველწლიური ხარჯები ტყის კულტურების გაშენებიდან მათი ტყით დაუარულ ფართობში გადაოიცხვაცდე. ე. ი. ა წლის შრომითი და ფულადი დანახარჯები. თუ ჩვენ ხუთი წლის გამაჟღლობაში კულტურების წარმოებაზე ნაკლები დანახარჯებით მივიღებთ მაღალპროდუქციულ ნარგაობას, ცხადია, მათი ხარისხობრივი დონეც მაღალი იქნება.

ხარისხობრივი მაჩვენებლების სისტემაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ტყის კულტურების ზრდა-განვითარებას, თუ როგორია ყოველწლიური ნამატი დიამეტრისა და სიმაღლის მიედვით. რაც უფრო მაღალია ყოველწლიური გიმდინარე შემატება სიმაღლესა და დიამეტრზე, მით მაღალია ხარისხობრივი დონე.

ტყის რესურსების კვლავწარმოებისათვის აღნიშნული ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ: გაშენებული ჯიშის სახალხო-სამეურნეო დანიშნულება, გაშენებული კულტურის სახშირე 1 ჰა-ზე, გაშენების სახე, დარგვა, დათესვა, სარგავი მასალის ხარისხი (ხნოვანება, სტანდარტი, თესლის შეგროვების დრო, დამუშავების წესი და სხვ.), ამ სამუშაოების შესრულების წესი (მექანიზებული, ხელით, ცოცხალი გამწევი ძალის გამოყენებით), სამუშაოს შესრულების ორგანიზაცია (ბრიგაზული, რგოლური, ინდივიდუალური) და სხვ.

ხარისხობრივი მაჩვენებლის დადგენისათვის საჭიროა 5 წლის განმავლობაში ერთსა და იმავე ადგილზე გამოყოფილი იქნეს მუდმივი სანიმუშო ფართობი (0.25—0.5 ჰა). სანიმუშო ფართობის რაოდენობის დასაღენად მხედველობაში მიღებული გვაქვს სათანადო კულების სიზუსტე ლიტერატურული წყაროებით და მეცნიერული გამოკვლევებით დადგე-

ნილია, რომ სატყეო მეურნეობის საქმიანობაში საწარმოო პრცესებზე კვლევის სიზუსტის საერთო გადახრა არ უნდა აღემატებოდეს 2,5-10%-ს და დამოკიდებულია ძირითადად ადგილის ბუნებრივ პირობებზე. ამრიგად, ტყის რესურსების კვლავწარმოების სამუშაოების უკრნო შეკური შეფასება უნდა დაედოს საფუძვლად მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრას. ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი და დასაზუსტებელი, რომ შემუშავდეს ერთიანი მეცნიერულად დასბუთებული მეთოდიკა, რომელიც საშუალებას მოგვცემს პრაქტიკულად გადაწყდეს ხარისხის პრობლების საკითხები.

### ლიტერატურა — Литература

1. კ. თარგამაძე, სატყეო მეურნეობის ეკონომიკა, თბ., 1957.
2. И. В. Воронин, М. А. Куликов. Анализ Хозяйственной деятельности Лесхозов. «Лесная промышленность», М., 1972.
3. А. А. Родигин, В. И. Платанов, Ф. Н. Морозов. Организация и планирование предприятий лесной промышленности и лесного хозяйства, журн. «Лесная промышленность», М., 1972.
4. Г. П. Мотовилов. Лесоводственные основы организации Лесного хозяйства, журн. «Лесная промышленность», М., 1955.

გრიმის წილაში დოკუმენტის თარიღი

საქართველოს სახაფლო-სამუშაოო ინსტიტუტის შრომები, ტ. 105, 1978  
ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ  
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. 105, 1978.



УДК 634 . 0.232 . 4

ა. პერზაშვილი, ე. ჯაჩიძე,

რ. რუხაძე

ტიტ კულტურების გამოკვლევის ზოგიერთი შედეგი გაცარიცხის საზოგადო  
ეფუძნების მაგალითზე

სახალხო მეურნეობის დარგებისათვის მერქანზე დიდი მოთხოვნილების დაკავშირებულებლად, როგორც სხვა ქვეყნებში, ისევე სსრკ-ში დიდი მასშტაბით მიმდინარეობს მერქნის გამოტანა ტყის მასივებიდან, რაც წევევს ჭრაგავლილ ფართობებზე ტყის აღდგენის აუცილებლობას. რომელის განხორციელების ღონისძიებათა შორის პირველი და წამყვანი ადგილი უკავია შესაბამის ფართობებზე სატყეო-საყულტურო სამუშაოების სატარებას. ამასთან ტყის კულტურების წარმოება და მისი სათანადო წარმართვა ტყის აღდგენის სხვა ღონისძიებებთან ერთად წარმოადგენს. სკმარც რთულ და შრომატევად ღონისძიებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ გადაწყვეტილებებში ყოველთვის მნიშვნელოვანი აღგილი უკავია ტყების დაცვისა და მისი მწარმოებლობის გადიდების ღონისძიებებს. საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 29 სექტემბრის დადგენილებით 1976—1980 წწ. ჩვენს რესპუბლიკაში გათვალისწინებულია ტყის აღდგენის სამუშაოების ჩატარება 149 ათას ჰა-ზე, მათ შორის ოსვერა და დარგვით 42 ათას ჰა-ზე. აღნიშნულის ფრიად მნიშვნელოვანი სახელმწიფო ეგვიპტივი ღონისძიების წარმატებით განხორციელებას საფუძვლად უნდა დაედოს (სხვა მრავალ ფაქტორებთან ერთად) ტყის მასივებში ჩატარებული სატყეო-საყულტურო სამუშაოთა შედეგებისა და მათი ანალიზის საფუძველზე შემუშავებული შესაბამისი ღონისძიება.

შრომის ავტორებმა მიზნად დაისახეს ჩატარებული სატყეო-საყულტურო სამუშაოების, კერძოდ სოსნოვსკის ფიჭვის კულტურების ზოგიერთი შედეგის გაანალიზება-შესწავლა ბაქურიანის სატყეო მეურნეობის სამოდენიმე სატყეოს მაგალითზე. საველე სამუშაოები ჩატარდა ძირითად ვ. ვ. ოგიევსკისა და პ. ბიროვის ცნობილი მეთოდით, რომლითაც წიწვოვანი ჭიშების კულტურების გამოკვლევას აწარმოებენ მათი სიცო-

ცხლის ოთხ ფაზაში: გახარების ფაზა 1—3 წლის კულტურაში; ფაზა 4—8 ბურელის შეკრულობაში 4—10 წ., კორომის ფორმირების ფაზა 11—20 წელი, ლატნარობის ფაზა 21—40წ. აღნიშნულზე უძრავ მეტი ზონის კულტურების შესწავლისას შეიძლება გამოყენებულ ქედების ტექსტის ცის ცნობილი მეთოდები. სატყეო-საკულტურო სამუშაოები აღმოჩენილია სხვადასხვა ხნოვანების ნარგაობის დამახასიათებელ აღგილებში გამოყოფილ სტატისტიკურ სააღრიცხვო ბაქნებზე (ფართობით 0,01—0,02 ჸ.). ამასთან აღირიცხვებილია კულტურის ზრდის პირობები (ზღვილის დაქანება, ნიაღავის ტიპი, მომიჯნავე ფართობები და სხვ.), აგრეთვე კულტურის საწყისი სიხშირე და ნარგაობის გახარება, ნიაღავის დამუშავების სახე, საბურველის შეკრულობა და სხვ. შრომის დასახელების საკითხთან დაკავშირებით მოვიყვანთ ტყის კულტურების გამოკვლევის შედეგების რამდენიმე ტიპურ მაგალითს.

სოსნოვების ფიჭვის 4-წლიან კულტურაში აღებული სააღრიცხვო ბაქნის მონაცემების მიხედვით (ბაკურიანის სატყეო, IV კვარტი, ექსპოზიცია ს.-დ., აღგილის დაქანება 3—5°: ტყის ყორების ტიპის ღრმა ნიაღავის კულტურის საწყისი სიხშირე 5000 ცალი 1 ჰა-ზე; კულტურის აღმისავლეთით ესაზღვრება ნაძვნარი), კულტურა, რომელმაც განვლო გახარების ფაზა, სიმაღლეში აღწევს 0,3 მ-მდე; ხასიათდება გახარებით, რომლის მონაცემი არ აღმატება 70—75%-ს. ეს საფუძველს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ უმნიშვნელო დაქანებისა და ამასთან ღრმა ნიაღავურ პირობებში არის მიღებული სასურველი შედეგი, რის მიზეზადაც უნდა ჩაითვალოს ის, რომ ამ ახალგაზრდა ნარგაობაში არ არის ჩატარებული დროული და სათანადო მოვლითი ღონისძიება (ამას კი აღსატურებს კულტურაში გამოიყრებული ბალახეული საფარი).

ანალოგიური შედეგი მიღებულია უფრო მეტი ხნის კულტურაშიც; სოსნოვების ფიჭვის 8-წლიანი კულტურა (ლიბანის სატყეოს № 1 კვარტალი), რომელიც გაშენებულია საკმაოდ მაღალი საწყისი სიხშირით (10000 ცალი 1 ჰა-ზე), სიმაღლეში აღწევს საშუალოდ 1,8 მ-ს. საყურადღებოა, რომ მიმდინარე (1977 წლის) შემატება სიმაღლეში (რაც შეადგენს 0,48 მ-ს) გაცილებით მეტია საშუალო-წლიურ შემატებაზე, რაც მეტყველებს აღნიშნულ ხნოვანებაში ფიჭვის ზრდის ინტენსიურობაზე, მეგრამ აღრიცხვის პერიოდში ნარგაობის გახარება არ აღემატებოდა 60%-ს. ცხადით, გაშენების პირველ წლებში სათანადო მოვლითი ღონისძიებების გატარების შედეგად მაღალი სიხშირით გაშენებულ კულტურაში მიღებული იქნებოდა გახარების გაცილებით უკეთესი მაჩვენებელი. არის ადგილები, სადაც სინათლის მომთხოვნი გიში რომლის ტიპურ მაგალითს წარმოადგენს სოსნოვების ფიჭვი. შერგულია ნაძვნარის მცირე ზომის ფაზაზე. ცხადით, ფიჭვის აღნიშნული თვისების გაუთვალისწინებლად ვა ნხორციელებული კულტურა პერსპექტიულად ვერ ჩაითვალება, ამიტო



и наименее ярко выражены в зоне субальпийской растительности (в горах Средней Азии).

Более ярко выражены в зоне субальпийской растительности (в горах Средней Азии).

1) Кустарники с ярко выраженным стеблем и листьями, имеющими ярко выраженные признаки субальпийской растительности (в горах Средней Азии).

2) Кустарники с ярко выраженным стеблем и листьями, имеющими ярко выраженные признаки субальпийской растительности (в горах Средней Азии).

3) Кустарники с ярко выраженным стеблем и листьями, имеющими ярко выраженные признаки субальпийской растительности (в горах Средней Азии).

— Кустарники с ярко выраженным стеблем и листьями, имеющими ярко выраженные признаки субальпийской растительности (в горах Средней Азии).

Широколиственные леса с ярко выраженным стеблем и листьями, имеющими ярко выраженные признаки субальпийской растительности (в горах Средней Азии).

Леса с ярко выраженным стеблем и листьями, имеющими ярко выраженные признаки субальпийской растительности (в горах Средней Азии).

## ЛИТЕРАТУРА

1. А. Ф. Лиссиков. Лесные культуры. М., 1965.

2. В. В. Огневский, И. Д. Брауде и др. Лесные культуры. М.-Л., 1949.



2. В. В. Огневский. Густота культур основных лесообразующих пород. Л., 1974.
4. В. В. Огневский, А. А. Хиров. Обследование и оценка состояния лесных культур. М., 1964.
5. А. И. Писаренко. Лесовыращивание. М., 1977.
6. И. В. Шумаков. Новое в лесовыращивании. М., 1977.

УДК 634 . 0.231 : 633 . 872 . 1 (497 . 22)

გ. გავამილი

ჩართული მუხლი გუნდი განახლება ლაპოდების სახლმიწოდებლის ნაკრძალვი

უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჩვენს ქვეყანაში ტყის აღდენის ღონისძიებებს. აღმონაცენისა და მოზარდის დაცვა-შენარჩუნებას. მათშე ნათლად მეტყველებს სკვპ XCV ყრილობის მიერ მიღებული სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებანი. ამ ძირითადი მიმართულების მიხედვით მეათე ხუთწლედში სსრ კავშირში ტყეების აღდენა უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ტყის ფონდში 10—11 'მლნ. ჰა ფართობზე [1].

ტყის აღდენის პროცესი რთულ ბიოლოგიურ მოვლენებთან არის დაკავშირებული და მის საფუძველს ტყის თვითგანახლების უნარი წარმოადგენს.

ტყის ბუნებრივი განახლება დიდად არის დამოკიდებული თვით ტყის ჯიშების პიორეკოლოგიაზე, გეოგრაფიულ მდებარეობაზე, გარემო პირობებისა და ტყის აღნაგობასტრუქტურის თავისებულებაზე.

ტყის აღდენის პროცესის შესწავლა ნაირგვარი ტყის ტიპებისა და გეოგრაფიული მდებარეობის პირობების მიხედვით, მეცნიერების კვლევის თანამედროვე საკითხია, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. მასთან დაკავშირებით ჩვენ შევისწავლეთ ტყის ძვირფასი სამეურნეო ჯიშის—ქართული მუხის ბუნებრივი განახლების პროცესის მსულელობა ლაგოდების სახელმწიფო ნაკრძალში, ნაკრძალის ჰავა რჩილი და ტენიანია. საშუალო-წლიური ნალექი 1000 მმ-ია. აქ ნიადაგურკლიმატური ფაქტორების თვალსაზრისით, ტყემცენარეულობის არსებობისათვის პრიმალური პირობებია. ნაკრძალში აღგილი აქვს ნიადაგურკლიმატური პირობების ცვალებადობას ვერტიკალურ სარტყლებთან დაკავშირებით, რაც განაპირობებს ნაკრძალის ტერიტორიაზე კონტრასტულ ფიტოცენოზებს.

ლაგოდების სახელმწიფო ნაკრძალის ფართობი გაბატონებული ჯიშების მიხედვით შეადგენს 12346 ჰა-ს. მუხის ტყით დაფარულია 437 ჰა, ანუ 3,5 %. ამ ციფრში შედის, როგორც ქართული მუხა, ისე მაღალმითის მუხა. ფართობის სიდიდის მიხედვით მაღალმითის მუხა ჭარბობს ქართულ მუხებს. ქართული მუხა 1,5 % -მდეა.

ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალში, ქართული მუხის წმინდა მები არ გვევდება. ის ძირითადად შერეულია სხვა ჯიშებთან და იშვიათზე პატარ-პატარა ფრაგმენტებად (ჯუფებად) არის წარმოდგენილი.

ჩვენ მიერ ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალში შესწავლის იქნავართული მუხის ბუნებრივი განახლების დინამიკა შემდეგი ტყის ტიპებში:

1. რცხილნარ-მუხნარი მკვდარსაფრიანი,
2. მუხნარ-რცხილნარ-შინდიანი,
3. მუხნარ-რცხილნარ-ნაირბალახოვანი,
4. წიულნარ-რცხილნარ-მუხნარი ბერსელიანი,
5. მუხნარ-რცხილნარი მკვდარსაფრიანი,
6. მუხნარ-გაგრცხილნარი წივნიანი,
7. მუხნარ-რცხილნარი სათითურიანი,
8. მუხნარ-გაგრცხილნარი შინდიანი.

ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალში მოტანილი ტყის ტიპების მოხდვით საშუალო სიხშირის კორომებში მუხისა და სხვა ჯიშების აღმონაცენ-მოზარდის ჯამი 1 ჰა-ზე საშუალოდ შეაღენს 26250 ცალს. ამ რიცხვში ქართული მუხის აღმონაცენ-მოზარდი ტოლია 5110 ცალს, ანუ 19,4%-ის, დანარჩენი სხვა ჯიშებზე მოდის. საგულისხმოა რომ ამ 19,4%-ში ძირითადად წარმოდგენილია აღმონაცენი, მოზარდი კი უმნიშვნელო რაოდენობითაა. კერძოდ, ქართული მუხის 1—2-წლიანი აღმონაცენი საშუალოდ — 13,1% -ით, 3—5 წლიანი — 4,2%, 6—10 წლიანი მოზარდი, სამედო — 0,8%, უმედო — 1,13%, ხოლო 11 წლისა და მეტი ხნის მოზარდი, სამედო — 0,1%, უმედო — 0,07 %. ე. ი. ქართული მუხის აღმონაცენის ხვედრითი წილი ტყის ბუნებრივ განახლებაში შეაღენს 17,3%, ხოლო მოზარდი — 2,1 %.

მგვარად, უნდა ითქვას, რომ ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალში ქართული მუხის ბუნებრივი განახლება ძლიერ ცუდია, რადგან აღმონაცენი ვერ გადადის მოზარდში. აღმონაცენი, განსაკუთრებით 1—2-წლიანი საკმარისი რაოდენობითაა, მაგრამ მოზარდი თითქმის არ არის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ცალკეულ უმნიშვნელო შემთხვევას.

6. მარგველაშვილი [7] და ა. უუკოვი [9] სამართლიანად მიუთითებენ იმის შესახებ, რომ აღმონაცენის დიდი რაოდენობით წარმოშობა და არსებობა სრულიადაც არ ნიშნავს ტყის განახლება-აღდგენას, თუკი ის მოზარდში ვერ გადადის. სწორედ ასეთივე მოვლენას აქვს ადგილი ქართული მუხის განახლების პროცესში ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალში.

ქართული მუხის 3—5-წლიანი აღმონაცენის უმეტესობა კორომის კალთის ქვეშ სინათლის ნაკლებობით იჩაგრება, წვალობს რამდენიმე წლის მანძილზე, შემდეგ იღუპება.

ქართული მუხის აღმონაცენი შედარებით დიდი რაოდენობით არის

0,5—0,6—0,7 კალთის შეკრულობის კორომებში, შემდეგი ტყის ტებში:

1. მუხნარ-რცხილნარი შინდიანი (27%),
2. მუხნარ-ჯაგრუცხილნარი წივანიანი (39,1%),
3. მუხნარ-რცხილნარი სათითურიანი (32%).

იმავე სიხშირის კორომებში შედარებით მცირეა ოღონაცენის რიცხვი, შემდეგ ტყის ტებში:

1. მუხნარი-რცხილნარი ნაირბალახოვანი (9,5%),
2. წიფულნარ-რცხილნარ-მუხნარი ბერსელიანი (10,1%),
3. მუხნარ-რცხილნარი მკვდარსაფრიანი (11,1%),
4. მუხნარ-ჯაგრუცხილნარი შინდიანი (13,5%).

აღმონაცენის რაოდენობას და მისი რიცხობრიობის ცვალებაზობას, როგორც ვ. გულისაშვილი [2] მიუთითებს, საგრძნობლად განსაზღვრავს მკვდარი საფარის სისქე და ცოცხალი საფარის განვითარებისა და შედგენილობის თავისებურება.

ჩვენი კვლევის მასალებით, მკვდარი საფარი რაც უფრო სქელი და უხეშია, მით უფრო ნაკლებია ოღონაცენის რიცხვი. რაც უფრო ძლიერაა განვითარებული ცოცხალი საფარი და რაც უფრო მრავალსახეობრივი შედგენილობისაა ის, მით უფრო კლებულობს ოღონაცენის რიცხვი.

აღმონაცენის მოზარდში გადასვლის შესაძლებლობას უაღრესად ზოგადად ტყის კალთის მაღალი შეკრულობა (ი. აბაშიძე [8], ვ. მეტრევი-ლი [6], ვ. დარახველიძე [4], გ. გავაშელი [3]).

ქართული მუხა, როგორც სინათლის ჯიში 0,7-ზე მაღალი კალთის შეკრულობის პირობებში დაჩაგვრის გამო მოზარდში ვერ გადადის, წვალობს და ილუბება.

ერთნაირი ტყის ტებისა და სიხშირის კორომებში 12—20°-მდე დაჭანების ფერდობებზე უკეთესი მფლობარებაა მუხის განახლების მხრივ (აღმონაცენის წარმოშობის თვალსაზრისით), ვიდრე უფრო დიდი დაქანების ფერდობებზე.

ყურადსალებია ფაქტი, რომ პ. პოლოენცევისა და ი. სავინის [11] გმირკვლევით პირვანდელი ბიოგეოცენოზის დარღვევა იწვევს ტყის თვისებების წინასწორობის დარღვევას. ამასთან დაკავშირებით ბუნებრივია, რომ ირლევა ფლორისა და მიკრო-და მაკროფაუნის შემადგენლობა და რიცხობრიობა. ნიაღავა და კლიმატის თვისობრიობა და სერტორი ტყის გარჩვეული ბიოგეოცენზის არსებობისათვის საჭირო კომპლექსი. ბიოგეოცენზის დარღვევა, თავისთვალ მოქმედებს ტყისათვის დამახასიათებელ სხვადასხვა ბიოლოგიურ პროცესებზე და მათ შორის ტყის განახლება-აღდგენის შესაძლებლობის თვისებაზეც. ბიოგეოცენზის პირვანდელი ჰარმონიულობის მოშლა ასუსტებს ტყის ჯიშებს. აღლიერებს მათი დაავადებისა და დაზიანების ფაქტორების გავრცელებას, რაც ზღუდავს ტყის

აღდგენა-განახლების უნარს. ასეთივე ფაქტს, კერძოდ, მუხლის ტურ პირველი ბიოგეოცენოზის შეცვლას ჰქონდა აღგილი ლაგოლეხის სა-ზელმწიფო ნაკრძალში, მის ნაკრძალად ჩამოყალიბებამდე უკავშირ აქტის მიზანით გენეტიკური მუხის ტყები, ანუ მუხნაოვისა შეცვლილი ბიოგეოცენოზი.

აქვე გვინდა მივუთითოთ, რომ საქართველოში, ამჟამად, პირველი დელი მუხნარების ბიოგეოცენოზი შეცვლილია ადამიანის უსისტემო სა-მეურნეო მოქმედებით, რის გამო მათი განახლება-აღდგენის უნარიც, შესაბამისად ძლიერ დაქვეითებულია. ჩვენ თვალწინ მუხნარები იცვლება იაფადასიანი რცხილისა და გაგრცხილის ფორმაციებით. შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარეობს ყოფილი მუხნარების გარცხილიანება და გაჯაგრცხილიანება (კარპინიზაცია).

ამიერკავკასიაში მუხნარების მოსპობის საშიშროებაზე ჯერ კიდევ 1944 წელს მიუთითებდა ვ. ფიურნკო [13], ხოლო პირველყოფილი მუხ-ნარების ბიოგეოცენოზის დარღვევაზე აღმოსავლეთ საქართველოს პი-რობებში, ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით დამაჯერებელი დასაბუ-თებით მიუთითებს დ. სოსნოვსკი [12], ნ. კეცხოველი [5] და ი. მედვედე-ვი [10].

დ. სოსნოვსკი [12] აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ჯერ კადეც ცხვდებით წიფლნარების ხელუხლებელ ტყეებს, ხოლო მუხ-ნარების არა თუ ხელუხლებელ ტყეებს, არამედ ძირითადი ტყის ტიპებიც აღარაა შემორჩენილი. ნ. კეცხოველის [5] და ი. მედვედევის [10] გა-მოყვლევით აღმოსავლეთ საქართველოს მუხის სარტყელი ამჟამად ძირი-თადად ზაფავებულია მეორადი წარმოშობის მუხნარ-გაგრცხილნარი ტყის სამეურნეო გაუფების წარმოებული—მეორადი ტიპებით, ანუ დღევან-დელი გაეგბით, შეცვლილი ბიოგეოცენოზებით და თუ დღეს მუხნარი ტყეები მთლიანად არ არის „გადაშენებული“. როგორც დ. სოსნოვსკი [12] აღნიშნავს, ეს მისი ამონაყრითი განახლების უნარს უნდა მიერგონ:

საერთოდ ტყის ბუნებრივი განახლების ხელშესმლელ მიზეზაუ უკ-ძლება დავასახელოთ მრავალი ფაქტორი; კერძოდ: არახელსაყრელი ნიაღვურ-კლიმატური პირობები, კორომის კალთის მაღალი შეკრულობა (დაჩრდილვა), სიმეჩერე, რის შედეგადაც აღგილი აქვს აღრეულა და გვიარ ყინვების ზემოქმედება. ბალანვანი საფარის მძლავრად განვი-თარებას და ზოგჯერ ნიადაგის დაკორდებას; ენტომოლოგიური დაზიანე-ბები, ფიტოპათოლოგიური ღავადებები, აღელოპატია, აღამიანის არა-სწორი სამეურნეო მოქმედება, ძოვება, ღორისა და ფაუნის სხვა წარმო-მაღვენლების მიერ თესლისა და ნაყოფის განადგურება, პერიოდული ნა-ყოფმსხმილიარობა, სუსტი თერინათესების წარმოშობა, სიმრალე, უხეში მკვდარი საფარი, ბიოგეოცენოზის დარღვევა და სხვ. მრავალი.

მაშისადამე, ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალში ქართული მუხის  
ცუდი თვითგანაჭლების უნარი გაპირობებულია არახელსაყრელ ფაქტორ  
თა კომპლექსის ზემოქმედებით.

ბოლოს უნდა აღვნიშოთ, რომ საქართველოს მუხნარები მიტყებუ  
ლია ბედის ანაბარად. მათი შენარჩუნებისა და აღდგენსათვის არაუთარი  
სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები არ ტარდება. დადგა დრო, დაისახოს რა-  
ციონალური სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები მათი კორომების აღდგე-  
ნისათვის, რისთვისაც აუცილებელია ადამიანის გონივრული ჩარევა, რაც  
უნდა განახორციელოს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტ-  
რომ.

## ლიტერატურა — Литература

1. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის გრნიფაზების 1976—1980 წ.წ.  
ძირითადი მიმართულებანი.
2. გულისაშვილი, ზოგადი მეტყევეობა. თბ., 1957.
3. გ. გავაშელი, მიეხედოთ ქართულ მუხას. საქ. ბუნება, № 3, 1973.
4. გ. დარაბულიძე, ფიჭვის განახლების საკითხისათვის. საქ. სახ.-  
ჟმ. ინსტუტუტის შრ. 1975.
5. 6. გეცხოველი, საქართველოს მცენარეთა ძირითადი ტიპები.  
თბ., 1935.
6. 3. გეტრეველი. ფიჭვნარი კორომების ბუნებრივი განახლების  
მსვლელობა და მთავარი სარგებლობის ჭრების მეთოდების დად-  
გენა ატენის ხეობაში. სატყეო ინსტ. შრ., ტ. III, 1950.
7. 6. მარგველაშვილი ტყის სიბურველის ქვეშ ბუნებრივი განახლე-  
ბა. საქ. სახ.-სამ. ინსტ. შრ., ტ. I, 1963.
8. Я. Л. Абашидзе. Возобновление буков в некоторых типах ле-  
са Кахетии. Лесное хозяйство № 11, 1953.
9. А. Б. Жуков. Дубравы Украины и способы их восстановле-  
ния, 1949.
10. Е. М. Медведев. Деревья и кустарники Кавказа, 1915.
11. П. А. Положенцев, И. М. Савин. О причинах отмирания  
дубров. Лесное хозяйство, № 5, 1976.
12. Д. Г. Сосновский. Опыт классификации растительных фор-  
маций. Грузии. Закавк. краев. сборник. 1, 1930.
13. Б. А. Фиженко. Судьба дубовых лесов в Закавказии. Лес-  
ной журнал. 1911.



УДК 634 . 0.232 . 5 : 581 . 524

თ. რუხაძე, ა. გირიშვანიშვილი

ტიტ კულტურისა და გარემონტინის სახარები

ტყის კულტურების წარმოების პროცესში სასურველი შეჯეგის მიზნის მიზნით, შემუშავებულ აგროტექნიკურ ღონისძიებათა შრომის ერთობითი მნიშვნელოვანი აღგილი უკავია ბრძოლას ბალახებულ მცენარეულობისთან (განსაკუთრებით ტყის კულტურების სიცოცხლის პირველ წლებში). მეორე მხრივ, კულტურის ზრდასთან დაკავშირებულ ბალახებული საჭარის მდგრამარეობისა და მისი ინტენსივობის ხასიათი უკავშირდება ხელოვნურად გაშენებულ კორომში ტყის გარემოს შექმნის პროცესს.

აღნიშნული თვალსაზრისით საველე მასალა შეგროვდა (ბაჟურიანის ატყეო მეურნეობის ზოგიერთ სატყეოში) სოსნოვსკის ფიჭვის კულტურის დამახასიათებელ აღგილებში გამოყოფილ სააღრიცხვო ბაქნებზე. მრავალ ნარგაობის ზრდის მაჩვენებლებისა აღირიცხებოდა კულტურის ზრდის პირობები (აღგილის დასახელება. ნიადაგის ტიპი, აღგილის დაქანების სიმკვეთრე და სხვ.), ასევე კულტურის საფარის ქვეშ ბალახოვანი ცენარეულობა, მკვდარი საფარისა და ჰუმუსოვანი ფენის წარმოქმნა და სხვ., რაც დამოკიდებულია ძირითადად კულტურის სიხშირეზე, აღგილის დაქანების სიმკვეთრეზე, ნიადაგის დამუშავების სახეზე, კულტურის ხნოვნებაზე, მისი საბურველის შეკრულობაზე და სხვ.

ხნოვანება იმ კულტურისა, რომელშიაც ჩატარდა საველე სამუშაოები, შეადგენდა 3-დან 43 წლამდე, შრომის დასახელების საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული საველე სამუშაოებიდან მოვიყვანთ რამდენიმე ტიპურ მაგალითს სააღრიცხვო ბაქნების მონაცემების მიხედვით.

4-წლიანი სოსნოვსკის ფიჭვის კულტურა (საერთო ფართობით 10 ა-მდე) მდებარეობს ბაჟურიანის სატყეოს IV კვარტალში; ექსპოზიცია ად; აღგილის დაქანება 3—5°; ტყის ყომრალი ტიპის ღრმა ნიადაგი. კულტურას აღმოსავლეთით ესაზღვრება ნაძვნარი. მცენარეთა განლაგება ფარობზე 2 მ X 1 მ (ე. ი. საჭყაოსი სიხშირე 5000 ცალი 1 ჰა-ზე).

ექ აღებული სააღრიცხვო ბაქნის მონაცემების მიხედვით აღნიშნული კულტურა, რომელმაც განვლო გახარების ფაზა, სიმაღლეში აღწევს 0,3 მ-დე, ხასიათდება გახარებით, რომლის მონაცემები არ აღემატება 70—75%-ს, რაც ფართობის აღნიშნულ უმნიშვნელო დაქანებისა და ღრმა ნაღაგურ პირობებში ნარგაობის გახარების მხრივ არ ჩაითვლება სასურ-

ვეღ შეფეგად. სათანადო ავროტიცქნიკური ღონისძიებების გაუტომატორიზაცია, მეორე მხრივ, ახალგაზრდა ნარგაობის საქმაოდ დაბალი სისტემის პირობებში კულტურით დაკავებულ ფართობზე გავრცელებული ჩალახეული საფარი არსებითად არ განსხვავდება ღია (უტურული) მურობის გაგრცელებული ბალახეული საფარისაგან. აღნიშნულ პირობებში ბალახეული საფარისაგან. აღნიშნულ პირობებში ბალახეული საფარისაგან. შემდეგით:

*Briza australis* Prokud. — ცახცახა

*Hordeum europaeum* (L.) All. — ქერი

*Dactylis glomerata* L. — სათითურა

*Gladiolus segetum* Ker. Gawe. — ხმალა

*Paris incompleta* M. Bieb. — ხარისთვალა

*Orchis amblyloba* Nevsk. — გუგულის კაბა

*Polygonum carneum* C. Koch. — ღვალურა

*Stellaria holostea* L. — ტყის უუნჯრუკი

*Hesperis matronalis* L. — ლამის ია

*Aruncus vulgaris* Raf. — მეკენძელა

*Coronilla varia* L. — ყვავისფრჩხილა

*Lathyrus miniatus* M. B. — აჭრაჭუჭი

*Viola kitaibeliana* Roem. et schult. — ჩიტის ია

*Gentiana cruciata* L. — ნაღველა

*Astrantia maxima* Pall. — ვარსკვლავა

*Alectorolophus major* (Ehrh.) Roichenb

*Veronica filiformis* Smith

*Myosotis caespitosa* Schultz. — კუანე

*Ajuga genevensis* L. — პირწმინდა

*Betonica grandiflora* Willd. — მთის ბარისპირა

*Stachys sylvatica* L. — ყვახალა

*Digitalis ferruginea* L. — ფუტკარა

*Campanula rapunculoides* L. — მაჩიტა

*Tanacetum vulgare* L. — ასფერცელა

*Tragopogon graminifolius* D. C. ფარგუარა და სხვ.

მავრამ სოსნოვსკის ფიტოს კულტურის დამახასიათებელ აღგილებში იღებული სააღრიცხვო ბაქნების მონაცემების მიხედვით, ნარგაობის საწყისი სიხშირისა და ამასთან საბურველის შეკრულობის მატების მიხედვით პალახეული საფარის ინტენსივობა საგრძნობლად იზღუდება, რაც შეიძლება დადასტურდეს შემდეგი მაგალითთ:

სოსნოვსკის ფიტოს 16-წლიანი კულტურა, რომელიც გაშენებულია ოდნავ დამრეც ფურცლობზე (ციხისფერის სატყეოს № 9 კვარტალი) ხასიათდება შენდევი მონაცემებით: კულტურის საწყისი სიხშირე შეადგენს 20000 ც-მჟე 1 ჰა-ზე (კულტურა გაშენებულია თესვით: სათესი აღვილების განლაგებით ფართობზე ნათლად არ არის გამოხატული). საელ

ჟუშაობის პერიოდში კულტურა წარმოდგენილი იყო საკმაოდ მაღალი  
სიშირით (13500 ც-მდე 1 ჰა-ზე), რის გამოც ნარგაობაში შეიძირ-  
ება არა მარტო ბალახეული საფარის საგრძნობი შეზღუდვა, მაგრა  
ეთა საგრძნობი დიდერენციაცია, გვერდითა ტოტების შეხმობის ულტერი-  
ენსი და სხვ. ამ პირობებში ბალახეული საფარი წარმოდგენილია შემდე-  
ვთ:

*Poa nemoralis* L.—თივაქასრა

*Festuca montana* M. Bieb.—ჭივანა

*Trifolium repens* L.—თეთრი სამყურა

*Trifolium pratense* L.—წითელი სამყურა

*Vicia crocea* B. Fedtsch.—ცერცველა

*Lotus caucasicus* Rupr.

*Sanicula europaea* L.—ქრისტესბეჭედა

*Alchimilla erythropoda* Juz.—მარმუჭი

*Hordeum europaeum* (L.) All.—ქერი

*Digitalis ferruginea* L.—ფუტკარა

*Clinopodium vulgare* L.

*Betonica grandiflora* Willd—მთის ბარისპირა

*Pimpinella rhodantha* Boiss—ანისული

*Veronica filiformis* Smith.

*Veronica chamaedrys* L.

*Geranium robertianum* L.—უუმურა

*Veratrum lobelianum* Bernh.—შხამა

*Plantago major* L.—მრავალძარღვა

*Plantago lanceolata* L.—მრავალძარღვა

*Urtica dioica* L.—ჭინჭარი

და სხვ.

გარდა აღნიშნული ხნოვანების კულტურისა, ფიჭვის კულტურის  
ესტავლა ჩატარდა 43 წლის ნარგაობაშიც (ბაკურიანის სატყეოს № 13  
ერთალი). ადგილის დაქანება  $10-15^{\circ}$ , კულტურა გაშენებულია მცენა-  
უთა განლაგებით  $2 \times 1$  მ. ადგილი აქვს წიფლისა და მინდვრის ნეკერჩხ-  
ის ბუნებრივ განახლებას. საველე მუშაობის პერიოდში ხეთა შემორ-  
ენა ფართობზე შეადგენდა  $30-35\%$ -ს. მიუხედავად დაბალი სიხშირი-  
ა, ნარგაობის საბურველი ხასიათდება საკმაოდ მაღალი მაჩვენებლით,  
ოლო ნიალაგი ჰუმურსოვანი ფენით და ჩამოყალიბებულია საფარი, ხავსი-  
ა და მარმუჭით, სადაც დიდი სიხშირით აღინიშნა შემდეგი სახეობები:

*Mnium undulatum* Hedw.

*Climacium dendroides* (Hedw.) web. et Mohr.

*Polytrichum norvegicum* Hedw.

*Alchimilla erythropoda* Juz.—მარმუჭი

*Brunella vulgaris* L.—გობისცხვირა

*Coodyera repens* R. Rr.—ტყის მრავალძარღვა

- Fragaria vesca* L. —მარწყვი  
*Asperula odorata* L. —ტყის ჩიტისთვალა  
*Oxalis acetosella* L. —მჟაველა  
*Geranium gracile* Ledeb.

აღნიშნული სახეობის გარდა, მცირე სიხშირით მონაშილეობს ისე-  
 თი სახეობები, რომლებიც ტყის ტიპისათვისაა დამახასიათებელი, მაგა-  
